# სახალხო გაზეთი

№ 1116 პარასკევი, 14 თებერვალი 1914 წ. № 1116

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამდე 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, დ ეძლება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სივერთო ხსნის ლ. და მ. მეტლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ხელ არ იხსნება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ძლოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა


დღესასწაულისა გამო „სახალხო გაზეთის" შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 16 თებერვალს.

---

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერ.

## სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1914 წელსაც გაზეთს ექნება

**სურათებიანი დამატება**

(კვირაობით).

პრემიად 1914 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **სამი წიგნი**

პირველი წიგნი: „ქართველი მწერლები", რომელშიაც დაბეჭდილი იქნება: 1) „უგვირგვინო მეფენი", ისტორ. დრამა 5-მოქ. სანდ. შანშიაშვილისა. 2) „მიმქრალი შარავანდედი", ისტორ. რომანი ვ. ბარნოვისა და სხვ.

მეორე წიგნი: „უცხოეთის მწერლები", რომელშიაც დაიბეჭდება: „დონ-კარლოსი", ტრაგედია შილლერისა, თარგმანი გერმანულით სანდრო შანშიაშვილისა და სხვა ნაწარმოებნი უცხოეთის მწერლებისა.

მესამე წიგნი: „სამეცნიერო კრებული", ორიგინალური და ნათარგმნი წერილები.

გაზეთის ფასი წლიწადში **8 მ. და 50 კ.** ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50 | 8. | 7. 50 | 6. 75 | 6 | 5. 25 | 4. 50 | 3. 75 | 3 | 2. 25 | 1. 50 | 75. |

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

ადრესის გამოცვლის ფასი ტფილისისა ტფილისის გარედ, ან ტფილისიდან გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე **40 კ.**

დანარჩენ შემთხვევებში უფასოა.

**სამი აბაზი** უნდა გადაიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს მიიღოს ფოსტით სამი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მ. 50 კაპ. შეუძლიათ გადაიხადონ **ნაწილობით**

მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ., 1 აპრილამდე 2 მ., 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1914 წლის გასულისა.

ხელის მოწერა მიიღება: 1) „სახალხო გაზეთის" კანტორაში, სასახლის ქუჩ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან.

2) ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети". П. Ящ. 190.

---

ნიკოლოზ, არტემ და გერასიმე მარჯანოვები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ პატივი სცენ და დაესწრონ გარდაცვალებულს ჩვენი ძვირფას დის

**ლიზა ავეტიქას ასულის**

(მიხეილ ასკატელოვის მეუღლის)

დაკრძალვას, რომელიც მოხდება დღეს, 14 თებერვალს, გამოსვენება იქნება დილის 10 საათზე კარმირ-ავეტარანის ეკლესიაში, იქიდან ხოჯევანქის სასაფლაოზე. სახლის ადრესი: ორთაჭალა კუნძული № 36, ბაღი ვართანოვისა. 94

---

შაბათს, 15 თებერვალს, გარდაცვალებიდან ნახევარ წლის თავზე, კალოუბნის ეკლესიაში დანიშნულია წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

**თეკლე მიხეილის ასულის კოლუბანსკის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის ძმა გიორგი მიხეილის ძე, დები მელანია და ალექსანდრა მიხეილის ასულნი კოლუბანსკები და ნატალია მიხეილის ასული საყვარელიძისა. 95.

---

ახალ კლუბთან

**არსდება ქალთა და ვაჟთა მომღერალთა გუნდი**

მსურველთ შეუძლიათ მიმართონ და ჩაეწერნენ კლუბის დირიჟორ ს. ი. პროსმანთან.

ყოველ დღე დღით 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, ხოლო საღამოთი 9 საათიდან ღამის 11 საათამდე. 1401

---

ელექტრონის, რენტგენის სინათლის

**სამკურნალო**

საწოლი ოთახებით

**მიხეილ გედევანიშვილისა**

ნერვებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468

---

დილის წარმოდგენა

ძმ. ზუბალაშვილების სახელობის სახალხო სახლი

შაბათს, 15 თებერ., სახ. სახ. არს. ქართ. სახ. წარ. მმართ. წრის მიერ მასახიობ ქ-ნ ელ. ჩერქეზიშვილის და კ. ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგ. იქნება აქ. ცაგარლის 4 მოქ. კომედია:

**ხ ა ნ უ მ ა.**

მონაწ. მიიღებენ ქ-ნნი: კორინთელი, ტანელი, ციმაკურიძე, ელ. ჩერქეზიშვილი, ჩხუბიანი, მ. ქართველიშვილი. ბ-ნნი: ანაშვილი, გოცირიძე, დ. გედევანიშვილი, ზურაბიშვილი, ალ. მეტრეველი, ვ. ნინიძე, ვ. რატიშვილი. ადგილ. ფასი 5—50 კ. ბილეთ. კასა ღიაა ყოველ დღე დილ 12—2 ს., საღამ. 6—8 ს. დასაწყ. შუადღ. 12 ს.

რეჟისორი ალ. წუწუნავა. რეჟ. თანაშემწე ალ. გუგუშვილი.

25 თებერ., ბენეფისი რეჟისორის ალ. წუწუნავასი.

1002 ქართ. სახ. წარმ. მმართ. წრის ადმინისტ.

---

გორის პირველი კერძო

**სამკურნალო**

ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

**კობერიძე მ. ს.** ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

**წინამძღვარიშვილი მ. დ.** შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა კვირისა.

**მესხიშვილი ს. ს.** ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

**ბრიუკნერი მ. მ.** თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 1—2 ს.-დე.

**გინზბურგი ა. ლ.** კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან.

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა წამლობა „606", „914". 1604

---

დღეიდან

**ვაგზლის სამკურნალოში**

(ავთანდილის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695)

მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.

**ნათიშვილი**—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.

**მინასოვი**—ქირურგი, 11—12 საათამდე.

**პაპოვი**—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი 11—11½ საათამდე.

**ციციშვილი**—შინაგანი და ნერვების 11—12 საათამდე.

**ექ. ქალი იოსელიანი**—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—11½ ს.

**სამხედრო ექ. კლდიაშვილი**—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 1—2 ს.

**მაშაკიძე**—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.

რჩევის საფასური—50 კაპ.

**წამლობა „914".** 1023

---

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

მწენიძის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვერცხლის სასტუმროს ახლოს.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილებით.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებ. | **მანსვეტაშვილი მ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>**მალალაშვილი მ. მ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს.<br>**ფიდოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარკევიჩი მ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½.<br>**მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1.<br>**ფირალოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი **მერბიცკი-ფირალოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1.<br>**ფიდოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ნერვიულ. სნეულებ. და ელექტ. | **ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.<br>**ფონდოვი გ ს.** ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირის | **ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი მ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენერ. სნ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606" და „914" წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა, შეღავათიანი საფასურით. 1466

---

## ქართული თეატრი

საუკეთესო რეპერტუარი

ქართ. დრამ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგ. იქნება დღეს, 14 თებერვალს, დილით ბავშვებისათვის და მოწაფეებისათვის დაკლებულ ფასებში **სინათლე**, ზღაპარი ფერია 3 მოქ და 7 სურ. ი. გედევანიშვილისა. რეჟის. ვ. შალიკაშვილი.

საღამოთი ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმ. იქნება: **ედმონდ კინი**, დრ. 5 მოქმ. ა. დიუმასი, თარგ. ვ. გუნიასი.

ფასები ჩვეულებრივია.

დილით, შაბათს, 15 თებერვალს, ბავშვებისათვის და მოწაფეებისათვის **სინათლე**, ფასები დაკლებულია.

საღამოთი ქ-ნი ნინო ჩხეიძის მონაწილეობით **მედეა**, დრ. 5 მოქ. სუვორინისა და ბურენინისა, თარგ. დ. მესხისა.

ფასები ჩვეულებრივია. რეჟ. მ. ქორელი.

საღამოთ. კვირას, 16 თებერვალს, **სინათლე.** ფასები დაკლებულია.

საბავშვო წარმოდგენებზე მოზრდილები შევლენ თეატრში მხოლოდ ბავშვებთან ერთად. დილის წარმოდგენები დაიწყება ნაშუადღ. 12-ნახევ. ს., საღამოსი 8 საათზე. ადმ. ქართ. დრ. საზოგ. 1054

---

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ძალ. სახალხო სახლი

დღეს, 14 თებერვალს, 1914 წ. სახ. სახ. არს. ქარ. სახ. წარ. მმარ. წრის მიერ მსახ. გ. გედევანოვის მონაწილეობით

**ნიკო გოცირიძის ბენეფისად**

წარმოდგენილი იქნება:

**მუზმუზელა (ტარტიუფი)** 5 მოქ. თარგ. ივ. მაჩაბელისა

ექიმის ფული

ხუმრ. 1 მ. კ. ქუკოვსკისა თარგ. დ. დეკანოზიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. გოგოლაშვილი, თაბარაშვილი, კორინთელი, მარ. რომანიშვილისა ტანელი, ციმაკურიძე, ბბ. ანაშვილი, გოცირიძე, გ. გედევანოვი, ზურაბიშვილი, ალ. მეტრეველი, ვ ნინიძე, ალ. წუწუნავა. ადგილების ფასი 15 კ-დან 1 მ. 50 კ-მდე. ბილეთების კასა ღიაა ყოველ დღე დილის 12—2 ს. და საღ. 6—8 საათამდე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. რეჟისორი ალ. წუწუნავა.

რეჟ. თანაშემწე ალ. გუგუშვილი. ქ. ს. ხ. წ. მ. წრის ადმინისტრაცია. 1002.

---

**ავლაბრის სახალხო თეატრი**

კვირას, 16 თებერვალს,

**ბ ე ნ ე ფ ი ს ი**

მსახიობისა და რეჟისორის ი. ივანიძისა.

ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება

**კონსტანტინე ბატონიშვილი,**

დრამა 5 მოქ. ალ. ყაზბეგისა.

დასაწყისი საღამოს 8 ს. ფასები მომატებულია.

მორიგი წევრი ექიმი არუშანოვი, რეჟის. ი. ივანიძე. 1059

---

**ხარფუხის სახალხო აუდიტორია** წარ. № 3.

(კლუბისშენობაში)

პარასკევს, 14 თებერვალს, 1914 წ., ხარფუხის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის მიერ წარმოდგენილი იქნება

**და-ძმა**

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად ვ. გუნიასი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი კავთელი, მეხუზლაძე; ბ-ნნი მარკოზოვი, სალაყაიი, მირველოვი, პეპანოვი, ჯანველოვი, მგალობლიშვილი, შერეშოვი, შათირიშვილი, პაპინაშვილი და სხვა.

მორიგი გამგე ნ. რაზმაძე. რეჟისორი ს. პეპანოვი.

ადგილების ფასი სახელოსა: 5—50 კაპ. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ყოველ წარმოდგენაზე ბილეთის ფასით დაუთმობა უმუშევართ. 96

---

**ახალი კლუბი**

შაბათს, 15 თებერვალს, 1914 წ.

**საოჯახო საღამო.**

„მასკარადი".

საუკეთესო ტანისამოსისათვის და ცეკვისათვის დანიშნულია 6 ჯილდო. ქალები უნიღაბოდ ღამის 1 საათიდან იხდიან ჯარიმას 50 კ. სტუმრები იხდიან კლუბში შესვლისათვის კაცები 1 მ., ქალები 50 კ., სტუდენტები 25 კ. დაუკრავს ორი ხორო მუსიკისა: სიმებიანი და სამხედრო. 1054

---

შაბათს, 15 თებერვალს, საღამოს 8 საათზე დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში მოხდება ტფილისის

**ქართველ ქალთა საზოგადოების საჯარო კრება,**

რომელზედაც ექიმი გ. ღამბაშიძე წაიკითხავს ლექციას ბავშვთა აღზრდის საკითხზე და ალექსანდრე გარსევანიშვილი თემაზე: „ქართველი ქალი მე-XVIII საუკ." ლექციაზე შესვლა უფასოა ყველასათვის. 1060.

---

კვირას, 16 თებერვალს, შუადღის 12 საათზე, „ახალი კლუბის" შენობაში დანიშნულია კლუბის წევრთა

**საზოგადო კრება.**

განსახილველია: 1) 1913 წ. მოქმედების ანგარიში მამასახლისთა საბჭოსი. 2) 1914 წ. ხარჯთ-აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა. 3) მიმდინარე საქმეებისა. 4) კლუბის წევრებისა და მუდმივ მოსიარულეთა არჩევნები. 5) მამასახლისთა, მათ კანდიდატებისა, სარევიზიო კომისიის წევრებისა და მათი კანდიდატების არჩევნები. 1052

**ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება:**

**ჩვენი მწერლობა**

ეკალაძე ია. თხზულ. ტ. 1904 წ. 1 მ.,
ინგოროყვა პ. ძველი ქართ. სასულიერო პოეზ., ტ. 1913 წ. 2 მ.,
ლარიძე. დილარიანი, ტ. 1903 წ. 2--
მირიანიშვილი პ. ამირანის ლექსები, ტფ. 1913 წ. . ფასი 30 კ.
მირიანაშვ. ალ. იგ.-არაკ ტ. 1912. 75 „
მაჩხანელი. მარო, დრ. . 1897 წ. 3 „
ნაკვესები, ტფ. 1904 წ. . . 10 „
რაზიკაშვილი თ. ხალხური ზღაპ. ქართლში შეკრ. ტფ. 1909 წ. 75 „
იგივე კახეთში და ფშავში შეკრებილი, მისივე, . . . 75 „
რაზიკაშვილი ნიკო. დიაკვნიანი. ტ. 1902 წ. . . . . 20 „
რამიშვილი ტრ. ექიმი აშირბაჯიანი, პიესა 3 მ., ტფ. 1912. 20 „
„ ცხოვრების ნაწყვეტი, დრ. 1 მოქ., ტფ. 1912 წ. . 15 „
რუსთაველი. ვეფხ. ტყაოს., ქართველიშვ. გამ. ტ. 1888 წ. 11—65 „
იგივე, წ.-კ. ს. გამ. ტ. 1903. 60 „
რუხაძე. ცისკარი, ლექს. 1904 წ. 25 „
საბა-სულხან ორბელიანი. სიბრძნე-სიცრუე, ტფ. 1902 წ. 50 „
სარგის თმოგველი. დილარიანი, ტფილ. 1897 წ. . . . 25 „
**მიღებულია გასასყიდად სურათები**: ყაზბეგისა, მ. გურიელისა, ნინოშვილისა, კ. ყიფიანისა, ვაჟა-ფშაველასი, ერეკლე მეფისა, თითო სურ. 50 კ.

ადრესი: Тифлисъ Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. гр. нас.

ამხანაგობა

# „გრამოფონი“

პატრონები

# აბგაროვები და ალაჯანოვები,

ერევნის მოედანი, თამამშევის პასაჟი.

**აძლევს მყიდველებს**

მთელ ქვეყნიერობაზე საუკეთესო

# გრამოფონებს „ამურს“.

ფასის გადახდა შეიძლება წვრილ-წვრილად.

მიღებულია ბევრი ახალი ფირფიტა.

1061

გადამდებ სენთან საბრძოლველად

# ქალაქის გამგეობას საჭიროდ მიაჩნია

სთხოვოს მცხოვრებთ, კერძო ექიმებით ნუ წაიყვანენ ავადმყოფების (სახადიანს, ქუნთრუშიანს, ხუნაგიანს, წითელიანს და სხვა) საავადმყოფოებში, ან სახლიდან სახლში, არამედ ყოველ ამისთანა შემთხვევაში

# ისარგებლონ (უფასოდ)

ქალაქის სადეზინფექციო კამერასთან მყოფი

# სასანიტარო კარეტით

კარეტის დაბარება შეიძლება ტელეფონით № 172. 1055

# ახალი წიგნი

სილოვ. ხუნდაძის მიერ შედგენილი

ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო

პირველი წიგნაკი:

ნ. ბარათაშვილი, ფასი სამი შაური. 97

# ც ნ ო ბ ა

უმართებულესი სენატის განკარგულებათა და განმარტებათა კრებული 1913 წ. 9 ნოემბრისა № 253 განყ. მე-2. დამტკიცებულია სარკინიგზო შრომის არტელის **„ვარიაგის“** წესდება, ვაჭრობა-მრეწველობის, გზათა და შინაგან საქმეთა მინისტრების შეთანხმებით, რუსეთის სარკინიგზო საზოგადო კანონთა დებულების მე-77 მუხლის შენიშვნის ძალით, ტომი 12.

**მიიღებიან** არტელის წევრებად არა მარტო ტფილისისა და ბაქოს, არამედ ყველა დანარჩენ სადგურებზედაც ამიერ-კავკასიის რკინის გზისა. ფიზიკურად ჯანსაღი პირნი, არა უმცროს 21 წლისა და არა უხნიერეს 45 წლისა. არტელის წევრთა რაოდენობა განსაზღვრულია. ცნობების მისაღებად უნდა მიჰმართოთ არტელის გამგეობას, რომელიც იმყოფება ვაგზლის ქუჩაზე სახლი № 2, დილის 9—2 საათამდე ♂ საღამოს 5—10 საათამდე.

1038 გამგეობა.

საზღვარ-გარეთის კიმონო

# რ. ა. პორტუგალოვისა

იუწყება, რომ კუკიის (ნიკოლოზის) ხიდზე (№ 23—24) არსებულმა

**საქარხნო მაღაზიამ**

მიიღო დიდ-ძალი **შეკერილი ტანისამოსი** მამაკაცების, ქალებისა და ბავშვებისათვის. მიღებულია აგრეთვე მამაკაცთა კოსტიუმები, ქალებისათვის ქვედატანი და ხალათები ცალ-ცალკე.

**ახლად მიღებულია.** ძალიან იაფად, საქარხნო ფასებზე 30 პროცენტის დაკლებით, იყიდება სეზონიდან დარჩენილი საქონელი. იმედი გვაქვს, საქარხნო მაღაზიაში მყიდველნი კმაყოფილნი დაგვრჩებიან.

აქვე მიიღება ყოველგვარი შეკვეთა.

1632 პატივისცემით **რ. ა. პორტუგალოვისა.**

კიმონო

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **თეთრ-შანკრისა** ♂ კანის ავადმყ.: **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — 5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

**ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი**

**ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.**

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **აქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 737.

**ექიმ ლ. ლ. გოცირიძის**

# სამკურნალო ქალ. ბაქოში

მუდმივ საწოლებით:

**სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.**

**ფასი მორიგებით.**

ადრესი: Баку, магазинная, № 50. 1608

# საბურთალოზე

**მშვენიერ ალაგას**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ თელავის ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შეიტანონ დარჩენილი ფული**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 122

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს, ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, სახ. გაბაშვილისა.

**ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი**

# გ. გ. მეგრაბიანცი

იღებს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს. სწამლობს ფილტვებისა—ქლექი და გულის სნეულებათ. სპეციფიურად ქლექისათვის შეფარდებული წამლობა, ხელოვნურ. პნევმოტორ. განათება, ფილტვებისა და გულისა ფოტოგრაფიულად გადაღება და აგრეთვე ელექტრონულ რენტგენის სხივებით გადაღება სხეულის სხვა ნაწილებისაც. ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამ. 5—7 საათამდე, კვირაობით დილ. 9—12 ს.-დე. **ღარიბების** წამლობა დილ. 9—10 ს.-დე **უფასოდ.** ბებუთოვის ქ. 23. ტელეფ. 7—92. 1516

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე.** **გადავიდა** მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** 15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

**ექიმი გ. ნ. მამაკიანი** **გადავიდა** ახალ ბინაზე, სოლოლაკში, ბებუთოვის ქ. № 38. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, სპეციალურად კუჭისა და ნაწლავების ავადმყოფობანი. **ელექტროთერაპია** იღებს დილის 10—11 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ტელეფ. № 388. 1053

ქ. გორში

**ექიმი** (დოქტორანტი) **გ. დ. წინამძღვრიშვილი** ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირ. 1571

**ექიმი ე. ი. მინასიანცი** შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლავთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ. ნაკლულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ქლექ. და ღამპალი ციება. პარიზულ კლინიკ. პროფ. Mathieu. იღებს დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ. 1. № 86, ტელ. № 576. 1041

# ტფილისი, 14 თებერვალი.

[illegible]

ჟინიც. წარსულმა მაგალითმა ცხადჰყო, რომ ასეთი დეკლარაციული განცხადება არავის არაფერს ავალებს. ეს მოსალოდნელია. მით უფრო, რომ მთავრობის გაზეთი სწორედ ამ კილოზე სწერს. მაგრამ იმავ მთავრობის გაზეთში ვხვდებით ზოგიერთ ადგილებს, რომელნიც ცხადჰყოფენ, რომ ამ თანამშრომლობის დასამყარებლად სახელმწიფო სათათბიროსაგან თხოულობენ განსაზღვრულ მსხვერპლს. მდაბიურად ოფიციოზის აზრი ამნაირად შეიძლება გამოითქვას: მთავრობა მზად არის იმუშაოს სახელმწიფო სათათბიროსთან, თუ ეს უკანასკნელი ისე იმუშავებს, როგორც მთავრობასა ჰსურს და თუ ხალხის წარმომადგენლებმა სამშობლოს გულისთვის (?) დაივიწყეს თავისი ზოგიერთი ინტერესები.

როგორც ჰხედავთ, მსხვერპლი ისეთი თვისებისაა, რომ არა გვგონია კარგს გუნებაზე დააყენოს სათათბიროს უზომიერესი ნაწილიც კი. ცხადია, ოფიციოზს ამ შემთხვევაში მხედველობაში აქვს სახელმწიფო სათათბიროს ცოტად თუ ბევრად საკონსტიტუციო მისწრაფებანი. ოფიციოზის ამ სიტყვებში ნათლადა სჩანს სურვილი, რომ სახელმწიფო სათათბირომ დაივიწყოს 17 ოქტომბრის მანიფესტი, რომელიც ხალხის წარმომადგენლებს ავალებს განახორციელონ მანიფესტით დაპირებული თავისუფლებანი.

რა არის მიზეზი სახელმწიფო სათათბიროს და მთავრობის შეუთანხმლობის? მხოლოდ ის, რომ სახელმწიფო სათათბიროს ოპოზიციონური ელემენტი საკონსტიტუციო ნიადაგზე სდგას, არ ივიწყებს 17 ოქტომბრის მანიფესტს, რომლის განხორციელებაც მას საჭიროდ მიაჩნია. მთავრობა და მთავრობის გაზეთი კი ამ სურვილებს ან პოლიტიკანობად ნათლავს, ან პარტიულ ჟინიანობად ან, რაც უარესია, მხოლოდ დემაგოგობად. საკონსტიტუციო მისწრაფებათა ამნაირს დახასიათებაში ნათლად გამოსჭვივის მთელი სულის კვეთება ძველს ტრადიციებზე აღზრდილ ბიუროკრატიისა, რომელიც ვერას გზით ვერ შეჰრიგებია იმ აზრს, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტით პრინციპიალურად უარყოფილია ძველი, ბიუროკრატიული წესი მართვა-გამგეობისა.

სათათბიროს ნაწილი, რა თქმა უნდა, ამას არ ივიწყებს, მთავრობა კი სწორედ ამნაირ დავიწყებას მოითხოვს ხალხის წარმომადგენლებისგან. ამ რიგად, თუმცა მთავრობის გაზეთი აცხადებს, მთავრობა მოსურნეა თანხმობით მუშაობისა, მაგრამ ამ შეთანხმების პირობად ისეთს მსხვერპლს მოითხოვს, რანაირიც არის დავიწყება 17 ოქტომბრის მანიფესტისა.

ეს არის მთავარი აზრი ოფიციოზის განცხადებისა. იგი უდევს სარჩულად მთელს მის აზროვნებას. მაგრამ რას უნდა მოველოდეთ, თუ სახელმწიფო სათათბირომ მთავრობის დარიგებას არავითარი ყურადღება არ მიაქცია და ესოდენ დიდი მსხვერპლის შეწირვა არ მოისურვა? ოფიციოზის ფურცლებზე ამის პასუხსაც ვპოულობთ. მთავრობა პასუხისმგებელია მეფის წინაშე და არა ხალხის წარმომადგენლებისა, საკანონმდებლო დაწესებულებანი ძალას მხოლოდ იმდენად წარმოადგენენ, რამდენადაც ეს ძალა მინიჭებული აქვთ მეფის მიერო, ამბობს მთავრობის გაზეთი. ასეთი განცხადება თავის თავადაც ბევრს რამეს ამბობს და ამიტომ ჩვენი განმარტება აღარა სჭირია.

# ქართული პრესა

არც ერთი თანამდებობა არაა ისე უპატივცემულო და დაუჯილდოვებელი, როგორიცაა სასოფლო სკოლების მასწავლებლის თანამდებობა. მასწავლებლს უდიდესი და უმძიმესი საქმე აქვს დაკისრებული, მასწავლებელი ათასნაირის ქონებრივს შევიწროვებას და ზნეობრივს დამცირებას განიცდის, მისი მოღვაწეობის გზა ნარ-ეკლითაა მოფენილი; იგი თითქმის გამუდმებულს სიცივეს, სიმშილს, დევნას ითმენს. გაზეთ „ერში“ ლადო ბზვანელი აღნიშნავს ამ გარემოებას და მოუწოდებს საზოგადოებას, მეტის ყურადღებით და პატივისცემით მოეპყრას სახალხო სკოლის მუშაკებს.

„ამ უკანასკნელი 5—6 წლის განვალობაში, არა მარტო საზოგადო მოღვაწეთა, არამედ სასულიერო უწყებათა, ვექილთა, ექიმთა და სხვა დაწესებულებათა წრეებშიც, დამსახურებულ პირებს უმართვენ იუბილეს, დღესასწაულობენ იმათ 30—35 წლის თავის სამსახურს, ულოცავენ, მადლობას ეუბნებიან და ამხნევებენ. განა ისეთ მასწავლებელს, რომელსაც 30—35 წელი გაუტარებია სახალხო სკოლაში, პატიოსნადა და ერთგულად უმსახურნია სანახევროდ მშიერი კუჭით და ნაყოფი მოუტანია, საზოგადო მოღვაწე არ ეწოდება?! განა იგი, თუ იმავე დროს მგოსან-ლიტერატორისა და მსახიობის ნიჭი არ შესწევს, საზოგადოებას სამსახურს არ უწევს?! მე ყოველი სახალხო მასწავლებელი არა მყავს აქ მხედველობაში; მხედველობაში მყავს მხოლოდ ისეთი მასწავლებელი, რომელიც 30—35 წლის განმავლობაში ასრულებს ნამდვილი მასწავლებლის მოვალეობას და მიზნად დაუსახავს გულწრფელი სამსახური საზოგადოებისადმი.

დღეს ჩვენში მოიძებნება ასეთები და გვმართებს ამისთანა მასწავლებლები ჩვენც დავაფასოთ, გავუმართოთ მათ იუბილე, მივულოცოთ, მადლობა გამოვუცხადოთ, გავამხნეოთ და გავახალისოთ თან სხვათაც ვაჩვენოთ ამით, რომ ისინი წმინდა საქმეს ემსახურებიან და რომელიც კი პატიოსნად შეასრულებს თავის მოვალეობას და მოწოდებას, იმისი შრომაც დაფასდება. ეს იქნება ყველაზე უკეთესი ჯილდო სახალხო მასწავლებლებისათვის.“

ქართველებს ძლიერ გვიყვარს ნადიმების და იუბილეების გამართვა. რასაკვირველია, თუ სხვით არა, საიუბილეო დღესასწაულით მაინც მცირეოდენი პატივი ვსცეთ ღირსეულს სახალხო მასწავლებლებს. ხოლო სასურველია, რომ უფრო თვალსაჩინოდ და რეალურად დავაფასოთ იმ მასწავლებლების მოღვაწეობა, რომლებიც გულდადებით და წმინდად ემსახურებიან ქართველი ერის მომავალ თაობის აღზრდას.

# ხაროსანა

(ქურნალ-გაზეთებიდან)

ტფილისის ქალაქის მამებმა 37 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 27 ხმისა გამგეობის წევრად აირჩიეს სომეხი ჯაბარი, გამგეობისავე ყოფილი მდივანი. ჩვენებური რუსული მოქართულე გაზეთები ძლიერ მონდომებულნი იყვნენ, რომ გამგეობის წევრად რუსი ყოფილიყო არჩეული და კიდეც ემუქრებოდნენ სომხებს, ვერ გაბედავთ რუსების წინააღმდეგობასო. მაგრამ მათმა მუქარამ ვერ გასჭრა და ხმოსნებმა ჯაბარი აირჩიეს.

ამ გარემოებამ მალიზე გაბრაზა მოქართულე გაზეთები. „ზაკავკაზიე“ გაცხარებით ამტკიცებს:

„პრესაც, საზოგადოებაც და ხმოსანთა ინტელიგენტური ნაწილი, როგორც ერთი ადამიანი, ერთხმად ლაპარაკობდა, რომ ჯაბარი შეუფერებელია გამგეობის წევრის ადგილისთვის; ამბობდნენ, რომ შრომის მოყვარე არაა, აკლია განათლება, მომზადება, არაა თავდაჭერილი კაცი; ყვიროდნენ, რომ იგი არ ვარგა გამგეობის მდივნადაც, რომ მას არა აქვს მოთმინება, მტკიცე ხასიათი და რასაც კი ხელს მოჰკიდებს, ყველაფერი უნდა წახდესო. მიუხედავად ამ პატიოსანი და სამართლიანი ხმებისა, წინააღმდეგ მთელი ტფილისის საზოგადოების და პრესის სურვილისა და 27 გონიერ დამოუკიდებელ ინტელიგენტი ხმოსნის მოთხოვნისა 37 ხმოსანმა გამგეობის წევრად მაინც ჯაბარი აირჩია“.

ჯაბარის ამომრჩევ 37 ხმოსნების შესახებ კი გაზეთი სწერს, რომ ასეთი ხმოსნები ყველაფერს ჩაიდენენ ერთის სადილისა და გამასპინძლებისათვის, რომ რომელისამე გავლენიანის პირის თხოვნით ყველაფერს გასწირავენ და იმსხვერპლებენ; მათ უნდათ, მუდამ ამღვრეული იყოს წყალი, რომ თევზები დაიჭირონ, უნდათ ისეთი ადამიანი ჰყავდეთ გამგეობაში, რომელიც დაეხმარება მათ ბნელი საქმეების მოსაწყობადო.

„ზაკავკაზიეს“ მონათესავე „ზაკავ. რეჩი“ კი პათეთიურად გაიძახის ჯაბარის არჩევის გამო:

„უკანასკნელ არჩევნებს საზოგადოების საწინააღმდეგო ხასიათი ჰქონდა. სომხის პლუტოკრატიამ საბრძოლველად გამოიწვია მთელი რუსის საზოგადოება. ამ პლუტოკრატიამ არ მოისურვა, რომ რუსის ეროვნებასაც თავისი წარმომადგენელი ჰყოლოდა ქალაქის გამგეობაში ♂ ესეთი თავისი უსურველობა გამოხატა მოურიდებლად და დემონსტრატიულად.

რუსებისაგან დასახელებული იყო ორი კანდიდატი—სრულიად პატივსაცემი და ღირსეული ადამიანები... არჩევნები უნდა მომხდარიყო ამ ორს კანდიდატს შორის, მაგრამ შოვინისტურმა მოსაზრებამ გაიმარჯვა და სომხის პლუტოკრატიამ აირჩია თავისიანი, ჯაბარი, რომელიც თვითონ ტფილისის საბჭომ ორჯელ უღირსად სცნო“.

ვსთქვათ, რომ ჯაბარი ყოვლად უვარგისი ადამიანია და რომ სოლოლაკელებმა და მათმა თანამოაზრეებმა დიდი უგუნურება ჩაიდინეს; ვსთქვათ, რომ ელემენტარული სამართლიანობა მოითხოვს—ყოველს ერს გამგეობასა და საბჭოში იმდენი წარმომადგენელი ჰყავდეს, რამდენიც შეეფერება მის რაოდენობას, მაგრამ მაინც გაუგებარია მოქართულე რუსულ გაზეთების ასე თავის გამოდება რუსის კანდიდატების დასაცავად! განა რუსები ასე სუსტნი არიან, რომ სხვების დახმარება სჭირიათ?

ბატონებო, ორ-პირიანი მახვილი აგიღიათ ხელში და ფრთხილად იყავით, რომ ერთი პირი თქვენვე არ მოგხვდეს!

# სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშათა პეტერბურგ. სააგენტო).

**12 თებერვლის სხდომა.**

გარუნ-სენ-რეტი თავმჯდომარეობს.

განსახილველ საქმეთა სიაში არის საკანონმდებლო მოსაზრება სათათბიროს არჩევნების დებულებათა შეცვლის თაობაზე; მეორე საკანონმდებლო მოსაზრებაში აღნიშნულია, რომ საჭიროა დეპუტატების არჩევის უფლება მიეცეს ოკმოლინის, სემიპალატინსკის, ურალსკის, ტურგაისის, სემირეჩინის, სამარკანდის, სირ-დარიის და ფერგანის ოლქთა მცხოვრებლებს. მესამე საკანონმდებლო მოსაზრება მოითხოვს სახელმწიფო ბანკის წესდების 58, 79 და 83 მუხლის შეცვლას. სოციალ-დემოკრატთა ფრაქციის შეკითხვაა შინაგან საქმეთა მინისტრისადმი მიმართული.

რკინის გზებზე გახშირებულ უბედურებათა თაობაზე მთავრობის განმარტების განხილვა გრძელდება.

მალინოვსკის სოციალ-დემოკრატთა ფრაქციის სახელით ფორმულა შეაქვს. ფორმულაში აღნიშნულია: რკინის გზის დაბალ მოსამსახურეთა ეკონომიური მდგომარეობა ფრიად უმწეოა; ზედმეტი მუშაობით მუშები იქანცებიან; ამის შედეგია რკინის გზებზე გახშირებული უბედურებანი. მოლაპარაკე სათათბიროს წინადადებას აძლევს მთავრობის განმარტება დამაკმაყოფილებლად არ იცნოს.

შერცენვიცი ამტკიცებს, რომ სარკინისგზო უწყებას საკმარისი თანხა აქვს თვის საქმეების მოსაგვარებლად. რაც შეეხება იმას, თითქოს სათათბირო ოთხი წლის განმავლობაში აგვიანებს ახალ შტატების შემოღებას, გასამართლებელი საბუთი არ არის უწყებისათვის. სარკინისგზო უწყებამ შემოიღო ახალი შტატებიცა და საჭირო თანხაც, რასაც პროექტში ითხოვდა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს მარკოვ პირველმა, გზათა მინისტრის ამხანაგმა შჩუკინმა, ნიკოლაევმა და საინჟინერო საბჭოს თავმჯდომარემ კოხირიევმა.

კენჭი უყარეს მორიგ საკითხებზე გადასასვლელ უბრალო ფორმულას. სათათბიროს უმრავლესობამ ეს ფორმულა მიიღო.

სხვა ფორმულებს კენჭი აღარ უყარეს.

სათათბირო განაგრძობს შევჩენკოს დღესასწაულის აკრძალვაზე შეტანილ შეკითხვის განხილვას.

**მღ. რუდიჩი** ლაპარაკობს როგორც უკრაინელი: შეკითხვა ფორმალურის მხრივ ვერ არის საკმაოდ დასაბუთებული. უკრაინელებს შორის დიდი მწუხარება გამოიწვია იმ ხმებმა, რომ შესაძლებელია შევჩენკოს დღესასწაულის გამართვა აკრძალული იყოს. ამაში დამნაშავენი არიან ის პოლიტიკანები, რომელთაც თავისთავი უკრაინელებად მოაქვთ, დიდებულ რუსეთის მთლიანობის მტერნი არიან და შევჩენკოს სახელით პოლიტიკური დემონსტრაციისთვის სარგებლობენ. ამ პირობებში მთავრობა კარგად მოიქცა; მას არ შეუძლიან ხელი ახლოს რუსეთის სხვა და სხვა ეროვნებათა შორის, იგი უნდა მიდიოდეს თავის საკუთარი გზით, რასაც რუსეთის მთლიანობისა და კეთილდღეობისაკენ მიჰყავს (ხანგრძლივი ტაში მარჯვნივ).

შემდეგი სხდომა დანიშნულია 18 თებერვლისათვის.

## სახელმწიფო საბჭო

**სხდომის თავმჯდომარეობს.** საბჭომ უკამათოდ მიიღო 12 წვრილმანი კანონ-პროექტი, სხვათა შორის, სამეურნეო კულტურის იარაღების უბაჟოდ გამოშვება საზღვარ გარეთიდან. საბჭო შეუდგა სავაჭრო დაწესებულებების მოსამსახურეთა დაქირავების კანონპროექტის განხილვას. ეს კანონ-პროექტი საბჭოში უკვე იყო 1913 წ. 1 მაისს, მაგრამ აუარებელი შესწორება იქნა შეტანილი, და ამის გამო კვლავ გადასცეს კომისიას შესწორებათა განსახილველად. საგანგებო კომისიამ, რომელიც იხილავდა მას, ყველა შესწორებანი შეუფერებლად სცნო და მხოლოდ ზოგიერთი მუხლებში რედაქციული შესწორება შეიტანა.

საგანგებო კომისიის თავმჯდომარემ **ტიმირიაზევმა** წარმოსთქვა სიტყვა კანონ-პროექტის შესახებ, მან განმარტა, რომ ეს კანონპროექტი გამოწვეულია ცხოვრების მოთხოვნილებით და აკმაყოფილებს მოთხოვნილებას სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა აუარებელ მოსამსახურეებისას. პატრონებსა და მოსამსახურეთა შორის დამოკიდებულების მოწესრიგების საკითხი რუსეთში დიდი ხანია არსებობს, თითქმის მე-18 საუკუნის ბოლოდან, როდესაც 1799 წელს უმაღლესად გამოიცა წესდება ამქრებისა, სხვათა შორის, ნოქრების მხრისა. ეს კანონ-პროექტი თავის სარგებლობით არავის მხრით არ იწვევს ეჭვს, ვაჭრობა-მრეწველობის დაწესებულებათა მოსამსახურეების მხრივ კი დიდი ხანია ისმის შუამდგომლობა მათი მდგომარეობის მოწესრიგების შესახებ. დასასრულ ტიმირიაზევმა აღნიშნა, რომ შესაძლოა კომისიაში ზოგიერთი უთანხმოება თავიდგან ავიცდინოთ მხოლოდ მუხლობრივ განხილვის დროსაო.

**კომისიის მომხსენებელი ტრიპოლიტოვი** ამბობს, რომ კომისიამ შესწორებათა განხილვის დროს დაიცვა თვისი ძირითადი შეხედულებანი კანონ-პროექტის შესახებ; კანონ-პროექტის დადებითი მხარეებად უნდა ჩაითვალოს დამქირავებლისა და მოსამსახურეს შორის წერილობითი ხელშეკრულების დადება და ხელ-შეკრულებათათვის საღერბო მარკების შემოღება.

**ზუბაშოვი.** კანონ-პროექტი დაგვიანებულია. მცდარი აზრია, ვითომც რუსეთში ნოქრები კარგ პირობებში იყვნენ. ახალი კანონ-პროექტი სწყვეტს დამქირავებელთა და ნოქრებს შორის არსებულ მწვავე საკითხებს. კანონ-პროექტის მიღება დიდ მნიშვნელოვანია ჩვენი ვაჭრობა—მრეწველობისათვის.

**გრაფ. ბობრინსკის** წინადადება შეაქვს, რომ აჩქარება ასეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტის დროს შეუძლებელია; დავუცადოთ ხანამ არ მოხდება საერთო კანონმდებლობა დაქირავების საერთო წესებისაო.

**დურნოვო** სავსებით წინააღმდეგია კანონ-პროექტისა, რადგან მისი აზრით, იგი უნდობლობის გამოცხადებაა პატრონებისადმი. საკითხი სიცხოვრით არ არის გამორკვეული. იგი ნაყოფია კანცელარიის მშიშარა აზროვნებისა, რომელიც იქითკენ არის მიმართული, რომ აამოს იმ ნოქრებს, რომელნიც უვიცთა გავლენით 1905 წელს აჯანყდნენ.

**ვაჭრობა მრეწველობის მინისტრმა** ნახევარი საათი ილაპარაკა. მან, უპირველეს ყოვლისა, მხარი დაუჭირა განსაკუთრებულ კომისიის კანონ-პროექტს, თუმცა განაცხადა, მთავრობის რედაქცია სჯობდაო; შემდეგ უპასუხა გრაფ ბობრინსკის, და აღნიშნა მისი წინადადების უსაფუძვლობა. დასასრულ მინისტრმა პასუხი გასცა დურნოვოს. მინისტრი არწმუნებს, რომ კანონ-პროექტი კანცელარიის მუშაობის ნაყოფი არ არის. მუშაობა თავისი რიგით მიმდინარეობდა, მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეული იყვნენ ფართო საზოგადოების წარმომადგენლები. მინისტრი დარწმუნდა, რომ კანონ-პროექტი ბევრს შეუმსუბუქებს ცხოვრებას.

**კოვალევსკიმ** დაიწყო ლაპარაკი, მაგრამ გვიანობის გამო ვერ დაასრულა.

შემდეგი კრება 18 თებერვალს მოხდება.

## დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

**ქუთაისი**

გაზეთი „ერი“, მისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, 1 მარტამდის აღარ გამოვა.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

**პრემია საუკეთესო ღვინისთვის.** 1914 წელს მიწათ-მოქმედების დეპარტამენტი ერთს პრემიას მისცემს საუკეთესო ღვინის პატრონს. პრემია არის იმპერატორ ალექსანდრე მესამის სახელობისა და დაარსებულია თ-დ ლევ. სერგის ძის გოლიცინის მიერ ამ მიზნისთვის შეწირულ თანხის სარგებლით, რომელიც შეადგენს 3,000 მან. პრემიის მსურველმა უნდა წარადგინოს 1914 წლის 1 ივლისამდე საკუთარ მამულის ბუნებრივი ღვინო. მიწათ-მოქმედების დეპარტამენტი აცნობებს ამ ამბავს ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას და სთხოვს, აცნობოს საქართველოს მევენახეებსა და მეღვინეებს, რათა მონაწილეობა მიიღონ ამ კონკურსში.

**მევენახეობა.** ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ინსტრუქტორი გ. ნახუცრიშვილი საზოგადოების საბჭოს ატყობინებს, რომ მოიჯარადრეს, რომელსაც იყალთოს მიწა ორპირად უნდა დაებარა, გოლვის გამო მუშაობის შესრულებაზე უარი უთქვამს. ამის გამო ბ-ნ ნახუცრიშვილს თვით დაუქირია მუშები და მიწას თვის ხელმძღვანელობით აბარვინებს. დღეში ასი კაცი მუშაობს. დასაბარავია 7 დესეტინა, სადაც უნდა გაშენდეს: ორ დესეტინაზე—საცდელი ვენახი, 4 დესეტინაზე—მწარე ვაზების სანერგე და ერთს დესეტინაზე—სანერგე ნამყენ ვაზებისა და ხეხილებისა. აქვე უნდა მოეწყოს ვაზების სკოლა.

ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების სკოლებისა ხელმძღვანელი-მეთვალყურე **გ. ბურჭულაძე** 17 თებერვლისთვის ბორჩალოს მაზრას მიემგზავრება იმის გამოსარკვევად, რამდენად სჭირო და მოსახერხებელია ს. აკაუთაში სკოლის დაარსება.

12-ს თებერვალს ნაშუადღევის პირველს საათზე ახალს სასაკლაოზე მოხდა **სანიმუშო დაკვლა** მსხვილფეხა საქონლისა; დაიკლა 7—8 სული საქონელი; დაკვლას დაესწრნენ ქალაქის თავის თანამდებობის ალმასრულებელი თავად ბ. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, სასანიტარო ინსპექტორი სტეფანოვი, სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის ზედამხედველი შავერდოვი, ხმოსნები, სასაკლაოს ადმინისტრაცია, ყასბები და სალახეები. გერმანელმა სალახმა დამსწრეთა თვალ-წინ დაკლა ორი ხარი ახალის წესით: ჩამრაფარა თავებზე ნიღბები და კვერით შესთ რკინის პალო შუბლში; ხარები იმ წამსვე დაეცნენ ძირს და დაკარგეს გრძნობა, ამ დროს სალახმა გამოსჭრა ორივეს ყელები სისხლის გამოსადენად. ეს საშუალება მეტად მარტივი და ადვილია მით, რომ დამკვლელს თავიდან აცილებს ყველა იმ ზედ-მეტ წინასწარ მანიპულიაციებს (ფეხების თოკით გაკვრა და წაქცევა), რომელნიც თან სდევენ დაკვლის ძველს წესს, ეგრედ წოდებულს ურიულს და რომელნიც საქმეს აძნელებენ და აჭიანურებენ. გარდა ამისა, ახალი წესი შედარებით უფრო ჰუმანიურია, რადგან საქონელი თვალის-დახამხამებაზე ჰკარგავს გრძნობას და მაშასადამე წვალებას აღარ განიცდის. მიუხედავად ამისა, ჩვენმა ყასბებმა და სალახებმა იქვის თვალით შეხედეს ამ ახალს წესს და ვითომც ძველი წესი ამჯობინეს. ეს აიხსნება იმით, რომ ჯერ ერთი, ეს ახალი ხილია და მაშასადამე შეუჩვეველნი არიან, მეორე კიდევ, რიგიანად არა აქვთ მათ ახსნილ-განმარტებული ეს საგანი, ვისგანაც ჯერ-არს. იმედია, ბეითლები და სხვა შეგნებული პირები აუხსნიან უპირატესობას ახალის წესისას და თავიდან აიცილებენ იმ საშინელს სურათებს პირუტყვთა წვალებისას, რომელსაც ადგილი აქვს ახლა ძველს სასაკლაოზე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ძველი ეგრედ—წოდებული ურიული წესი დაკვლისა (ყელის გამოჭრა) ყველა განათლებულ სახელმწიფოებში განდევნილია და ხმარებაშია ახალი წესი დაკვლისა (თავის ტვინის განადგურება).

რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალი **ნაკადული** მცირე წლოვანთათვის № 3, შემდეგის შინაარსით: ნეტავი ვისი ქუდია?—სურათი, კაკას სიზმარი—ლექსი არ. ფანცულიასი, ქურდი—გიოსი, ჭკუის კოლოფი—ა. ახოსპირელისა, ძილის დროა (თარგ.) ელ. ანტონოვსკისა, გველები—ივ. როსტომაშვილისა და სხვა.

### საზოგადოებანი და კრებები

**ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგადოების** ბიბლიოთეკებისა და სახალხო კითხვების მომწყობ სექციის კრება დღეისთვის არის დანიშნული.

**ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** საბჭოს კრება 12 თებერვალს მოხდა. საბჭომ მთელი საღამო მოანდომა საკუთარ სამეურნეო გამოცემის საკითხს. ხანგრძლივ ბჭობა-ბაასის შემდეგ საბჭომ დაადგინა, შეიძინოს ვ. ი. რცხილაძისაგან სამეურნეო ჟურნალი „მოსავალი“ და ამ ჟურნალის ვალი, რომელიც 1,909 მან. შეადგენს, თვით იკისროს და ნაწილ-ნაწილად გადაიხადოს.

### სასწავლებლებში

**ქართული სკოლა თერგის ოლქში.** ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობის დავალებით სკოლების ხელმძღვანელ-მეთვალყურემ ს. ნალჩიკი (თერგის ოლქი) მოიარა, სადაური ქართველობაც იქ ქართულ სკოლის დაარსებას თხოულობს. ბ-ნმა ბურჭულაძემ შემდეგი გამოარკვია: ნალჩიკში 32 კომლი ქართველია და მთელს ნალჩიკის ოლქში კი—47 კომლი. სასკოლო ასაკის ბავშვი 50-დეა. ნალჩიკში არსებობს სასოფლო სკოლა, მაგრამ იქ ქართველებს არ იღებენ, რადგანაც სწავლა რუსულად სწარმოებს და ქართველი ბავშვები საგნებს ვერ ითვისებენ. ამ სკოლის სასარგებლოდ თვითეული კომლი წელიწადში 5 მან. იხდის. ქართველი მცხოვრებნი მზად არიან ყოველი ხარჯი, რომელიც სკოლის დასაარსებლად და შესანახად არის საჭირო, თვით იკისრონ, გარდა მასწავლებლის ჯამაგირისა. ფულის შეგროვებას უკვე შესდგომიან. ბ-ნმა ბურჭულაძემ წ.-კ. გამგეობას შესაფერი მოხსენება წარუდგინა.

### ქუთაისი

რამდენიმე პირს განუზრახავს დულაძისეულ მოედანთან კულტურულ განმანათლებელი წრის „კულტურის“ დაარსება, რომლის მიზანი იქნება სახალხო წარმოდგენების მართვა, სამკითხველოს და საკვირაო სკოლის დაარსება, საუბრებისა და ლექციების მართვა და სხვ. ამ წრის წესდების შესამუშავებლად 23 თებერვლისთვის დღის 12 საათზე დანიშნულია კრება მოედნის ახლო. ინიციატორები სთხოვენ მუშებს, ინტელიგენტებს და ხელოსნებს დაესწრონ კრებას და მონაწილეობა მიიღონ წესდების შემუშავებასა და კომისიის არჩევნებში.

ა. ცერცვაძეს გუბერნატორმა ნება დართო გამოსცეს ქუთაისში ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „ტალღა“.

ერთ მოსწავლეს დრამად გადაუკეთებია აკაკის ნაწარმოები „ბაში აჩუკი“. წიგნის სამი ფორმა უკვე დაიბეჭდა „ძმობის“ სტამბაში.

### ცხინვალი.

ფრიად ამაღელვებელ შემთხვევას ჰქონდა ალაგი მიმდინარე იანვარს. გორის ახლოს შეურაცხყვეს 70 წლის მოხუცი, კნეინა ე. ა—შვილისა. 9 თუ 10 იანვარს, მეეტლე მიხა კიკნაძეს ჩვეულებრივ წაუყვანია მგზავრები გორიდან ცხინვალში. ეტლში მჯდარან კნ. ე. ა—შვილისა, 70 წლის მოხუცი, ცხინვალელი ვაჭარი ვასო ნადიროვი მეუღლით და აქაურივე მცხოვრები ჩიტა კასრაძე, მიკიტანი. ჩიტა კასრაძეს, რომელიც კნ. ა—შვილის გვერდით მჯდარა, შემოუძახნია ილიას, აკაკის და სხვ. ლექსები, გადასულა თავად-აზნაურობის ლანძღვაზე და ცუდად მოუხსენებია აპოლონ მაჩაბელი, რომელიც შარშან გარდაიცვალა.

— შვილო, რად აგინებ მიცვალებულს, რაღას გიშავებს, ის ჩემი სიძე იყოვო, უთქვამს მდაბლად მოხუცებულ კნეინას. რაო? სიძეო?— დაუღრიალია კასრაძეს. „გადმოდი ჩქარა ეტლიდან! მოხუცი ეტლიდან გადმოუგდიათ და თვითონ გასდგომიან გზას, მაგრამ დაბრუნებულან და ისევ ჩაუსვამთ ეტლში. ცხინვალამდე 70 წლის სათნო, პატივცემული მოხუცი ხელის შეხებით, დაცინვით გაუწამებიათ.

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელის ნომრის შეკვრის დროს, სტამბაში შილერის მ კიერ, შეცდომით ფირტუს კლიშე გაუ მვიათ. ამის გამო შილერის სურათს კვირის დამატებაში დავბეჭდავთ.

## ოზურგეთის რკინის გზა.

დიდი ხანია მოელიან გურულები რკინის გზის შტოს გაყვანას ნატანებიდან ოზურგეთამდე. ხოლო აქამდის ვერ ეღირსნენ თავის ლოდინის განხორციელებას. დღეს პირობები ცოტათი შეიცვალა და თუ ოზურგეთლები დაფაცურდნენ, შეიძლება რკინის გზა მალე გაკეთდეს. საქმე ისაა, რომ ოზურგეთის მაზრაში ამ ბოლო დროს ტყეები იყიდეს მოსაჭრელად კაპიტალისტებმა, რომლებიც, ძლიერ დაინტერესებულნი არიან ოზურგეთის რკინის გზის გაყვანაში, რადგან ამით ფრიად გაუადვილდებათ ხე-ტყის გადმოტანა.

ამ კაპიტალისტებმა ასეთის წინადადებით მიმართეს ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობას: გადმოგვეცით ვექილობა, რომ პეტერბურგში შევეცადოთ, ხაზინამ გაიყვანოს რკინის გზა, ან კონცესია მოგვცეთო. უკანასკნელ შემთხვევაში კაპიტალისტები ჰპირდებიან ოზურგეთელებს, გზის გამყვანსაც ჩვენ გიშოვნითო. ამასთანავე კაპიტალისტებმა მოსთხოვეს ქალაქის თვითმართველობას, თხოვენ იმ ადგილების პატრონებს, სადაც გზა გაივლის, უფასოდ დასთმონ მიწები, რადგან ამ შემთხვევაში მეტად გაადვილდება რკინის გზის გაყვანა.

სამწუხაროდ ოზურგეთის თვითმართველობამ ვერაფერი იმედი მისცა კაპიტალისტებს გზისთვის საჭირო მიწების შესახებ და როგორც ამბობენ, ისინი ეხლა სხვა გეგმის შედგენას აპირებენ: ან დიდს ავტომობილებს შეიძენენ და მით გადმოზიდავენ ხე-ტყეს, ან კობულეთიდან ოზურგეთამდე გაიყვანენ ერთგვარის ელექტრონის გზას, რომელიც მხოლოდ ხეების გადმოსატანად ივარგებს.

თუ კაპიტალისტები შეუდგნენ ამ გეგმის განხორციელებას და ხარჯი გასწიეს ამისთვის, ისინი აღარ იქნებიან დაინტერესებულნი მერე, დაეხმარონ ოზურგეთელებს რკინის გზის გაყვანაში და გზის ბედი შეფერხდება. ამიტომ საჭიროა, რომ ოზურგეთის თვითმართველობამ, მემამულეებმა და საერთოდ მთელი მაზრამ მხნედ მოჰკიდოს საქმეს ხელი, უფასოდ დაათმობინონ მეპატრონეებს მიწები და ამით გაადვილონ დიდი ხნის განზრახვის განხორციელება—ოზურგეთის რკინის გზის გაკეთება.

**გურული.**

## წვრილი სესხის ამხანაგობა ხარაგოულში

10 თებერვალს დაბა ხარაგოულში შესდგა წლიური კრება ბელაგორის წვრილ სესხის ამხანაგობისა, რომელსაც დაესწრო ინსპექტორი თავამიქელაძე. კრებას თავმჯდომარეობდა კირილე კელენჯერიძე. ამხანაგობას მოხსენდა ძველი წლის ანგარიში. ამ ჟამად ამხანაგობას ჰყავს 400-მდე წევრი. წარსულს წელს ამხანაგობას მოგება დარჩენია 258 მანეთი და 97 კაპ. ამ ფულიდან 40 პროც.—103 მან. და 59 კაპ. გადაიდო ძირითადი თანხისათვის. 20 პროც. 51 მან. 79 კაპ. სათადარიგო თანხისათვის და 15 მანეთიც ამხანაგობას ინვენტრის დასაფარავად. სულ 170 მანეთი და 38 კაპ. დარჩა 88 მანეთი და 59 კაპეიკი, რომელიც ამხანაგობამ ასე გაანაწილა: 40 მანეთი გადაიდო წიგნთ-საცავ-სამკითხველოსათვის, 12 მანეთი ჟურნალ-გაზეთების გამოსაწერად, 11 მანეთი და 59 კ. ინსტრუქტორებისათვის და 25 მანეთი ხარაგოულის სამინისტრო ორკლასიანი სკოლის სასარგებლოდ. მომავალი 1914 წლის ხარჯი 610 მანეთი გამოწვეულია შემდეგი უსაჭიროესი მოთხოვნილებით. ერთ წევრს გამგეობისას, რომელიც იმავე დროს მოანგარიშეს ყალდებულობასაც ეწევა, დაენიშნა თვეში 25 მანეთი, მეორე წევრს—თვეში თუმანი. საფოსტო და წამოსასვლელი ხარჯები 54 მანეთი, ახალი შენობის დასაქირავებლად 100 მანეთი და საბჭოს წევრებს სხდომებისათვის 36 მანეთი. როგორც წასული წლის ხარჯთ-აღრიცხვა, ისე მიმდინარე წლისაც ამხანაგობამ მიიღო წინადადება— შეძენილ იქნეს ერთი პაი მოსკოვის ბანკიდან, კახხით კრებამ ამოირჩია სარევიზიო კომისია, რომელშიაც შედიან: პლატონ ლეჟავა, ვლადიმერ არეშიძე, ბიქტორ კიკნაძე და ნიკოლოზ ვეფხვაძე. გამგეობაში, რამდენიმე წევრის გამოსვლის გამო, არჩეულ იქნენ ახლები: ვ. ბუხნიკაშვილი და ილდელი რომ. ქიქაშვილი. დასასრულ პლ. ლეჟავამ კრებას წარუდგინა პროექტი სამარხი კასის შესახებ, რომელსაც საზოგადოება თანაგრძნობით მიეგება.

**ფარცხმელელი.**

## პეტერბურგის ქართული სათვისტომო

სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ ორს თებერვლის საერთო კრება არა ჰგავდა დანარჩენ კრებებს თვისი მრავალრიცხოვნობით (დაესწრო 75 კაცი, რაც აღსანიშნავია) და სიდინჯით. მრავალრიცხოვნობის მიზეზი ახალ გამგეობის არჩევაა.

როგორც სხვა რუსეთის საუნივერსიტეტო ქალაქებში, ისე აქაც, პეტერბურგში, დასელებმა წრეულს ხმა ამოიღეს და მოინდომეს სათვისტომოში განხეთქილების ჩამოგდება. საარჩევნოდ დიდი მზადება ჰქონდათ. ბევრი იტრიალეს, რათა გამგეობაში თვისიანები გაეყვანათ, კრებაზედაც ბევრი არა წევრი მოიყვანეს.

არჩევნების დასაწყისს ერთმა დასელთაგანმა განაცხადა, სასურველია არჩევნებს პარტიული ხასიათი არ მივცეთო. ცოტა არ იყოს, გამაკვირვა იმათ ამნაირ მზადების შემდეგ ამისთანა განცხადებამ. ძველმა გამგეობის ერთმა წევრმა უპასუხა: სათვისტომოს გამგეობა ეკონომიური დაწესებულებაა და მის პარტიულ ხასიათზე ლაპარაკი ზედმეტიაო. მთელი კრება შეუერთდა ამ აზრს. წამოყენებულ იქმნა კანდიდატები და მართლა სრულიად წყნარად ფარულის კენჭის ყრით ამორჩეულ იქმნა გამგეობის 7 წევრი და ორი მათი კანდიდატი. ამ არჩევნებით ყველა კმაყოფილი იყო.

კრების განსახილველად წამოყენებული იყო ცხრა მუხლი. სხვათა შორის, სათვისტომოს მოვალეების შესახებ, რათა ახალმა გამგეობამ რამე იღონოს მათ წინააღმდეგ და ვალი გადაახდევინოს.

ჯერაც მთლად გამოურკვეველია შარშანდელი ბალის ანგარიში და ეხლაც, მომხსენებლის დაუსწრებლობის გამო, სხვა დროისთვის გადაიდო. ამ ბალის მწვავე საკითხს შეადგენს დაკარგული ათი თუმნის ბედ-იღბალი.

შარშანდელი გამგეობის წყალობით სათვისტომოს ქონებრივი მდგომარეობა გამოკეთდა, რაიც გამოიხატება თვისი წევრებისათვის 90 თუმნამდე ვალის გაცემაში, ქულაჯების შეკეთება-გარეცხვასა და მომგებიან ბილეთის დახსნაში.

კრებამ დიდი მადლობა გადაუხადა ძველ გამგეობას ნაყოფიერის მუშაობისათვის.

სათვისტომოს ზოგიერთ წრეებში ხმა დადის, ვითომც ერთი-ორი ისეთი პირია, რომელთაც იმის გარდა, რომ სახლიდან მოსდით ფული, კიდევ ორ-ორი სტიპენდია ჰქონდეთ. რამდენად მართალია ხმები—ამას შემოწმება უნდა. ამის შესახებ კრებაზე ერთმა წევრთაგანმა აღძრა კითხვა და, სამწუხაროდ, დროს უქონლობისა გამო შემდეგისათვის გადასდო. ისედაც საკვირველია, როგორ მოახერხა კრებამ 7 ფრიად მნიშვნელოვანი კითხვის გადაწყვეტა, როდესაც წინად მარტო არჩევნებსაც-კი ვერ ვასწრობდით.

ვუსურვებ ახალ გამგეობას ისეთივე მუყაითი შრომა, ბეჯითობა და უხარი გამოიჩინოს როგორიც ძველმა და ყოვლივე პოლიტიკნობასა და ინტრიგანობას არიდებოდეს.

**ერთი ცინმე.**

## წერილი ხონიდან

9 თებერვალს მოხდა შემნახველ გამსესხებელ ამხანაგობის წევრთა საზოგადო კრება. კრებას ამხანაგობის 256 წევრიდან 100 წევრი დაესწრო. კრების თავმჯდომარედ ა. ბახტაძე აირჩიეს, მდივნად—კ. უგულავა. თავმჯდომარემ აცნობა კრებას, რომ ამიერიდან ხონში არსებული ორი შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა გაერთიანდა. გასარჩევ საგანთა შორის იყო საკითხი სესხის აღებისა. წინად ორივე ამხანაგობას საზოგადოებათა და სახელმწიფო ბანკისაგან 7 ათასი მანეთის სესხი ჰქონია აღებული. კრებამ ერთხმად დაადგინა, მიეცეს გამგეობას ნება აიღოს სესხად ოცი ათასი მანეთი.

ამავე კრებამ ერთი მეტად სასარგებლო გადაწყვეტილება გამოიტანა. ამხანაგობა დღემდი გასესხებულ ფულში 12 პროცენტს ღებულობდა, კრებამ 12 პროცენტი შეცვალა და დააწესა 10 პროცენტი. საწევრო ფულიც შეამცირეს და ნაცვლად 50 მანეთისა 20 მანეთი გახადეს.

ამხანაგობა დღემდი ძველი წესდების თანახმად მუშაობდა და ახლა კრებამ მიიღო 1905 წელს გამოცემული წესდება, ამ წესდების შესახებ მცირე განმარტება მისცა წვრილი სესხის ინსპექტორმა ჯაფარიძემ. წესდება შედარებით ძველთან უფრო დემოკრატიულია. დაადგინეს ბანკის ოპერაციები კვირაში ორჯერ სწარმოებდეს; ოთხშაბათობით და კვირაობით. განსაზღვრეს ამასთანავე ბანკში მოსამსახურე პირთა ჯამაგირებიც. თავმჯდომარეს მიეცემა 300 მანეთი წლიურად და გამგეობის ორ წევრს თითოს 15 თუმანი. სხვა წვრილი ხარჯებისათვის გადასდვეს 250 მანეთი. კრებამ დაადგინა რომ მოგებულ ფულში მისცეს 5 პროცენტამდი. ბოლოს მოხდა თანამდებობის პირთა არჩევნები. გამგეობის წევრებად აირჩიეს მ. ჭელიძე, მ. ქუთათელაძე დ. გ. გორდაძე. მათ კანდიდატებად რ. წივწივაძე და კ. კაკაბაძე. აირჩიეს აგრეთვე საბჭოს წევრები: ი. მებუკე, ვლ. ნადარეიშვილი, ბიკენ. ქუთათელაძე ე. ჭავჭანიძე და სხვები. დადგინეს, რომ საბჭოს წევრთ თვითეულ სხდომაზე დასწრების გასამრჯელოდ ათი შაური მიეცეს.

წინა სხდომაზე, რომელიც ორ თებერვალს მომხდარა, გადაუწყვეტიათ ხონის გიმნაზიას 1060 მანეთი მისცენ იმ პირობით, თუ რვა კლასიანი გახდება (დღეს ექვსკლასიანია) და ამ ფულს გიმნაზიის შენობის ასაშენებლად მოიხმარებენ.

**„რეფელე“**

## საკანონმდებლო დაწესებულებებში

### პოკროვსკის დაპატიმრება.

მესამე სათათბიროს წევრად ნამყოფ პოკროვსკის დაპატიმრებამ ფრიად ააღელვა სათათბიროს ოპოზიციის წევრები. ვინც პირადად იცნობდა პოკროვსკის, დარწმუნებულია, რომ იგი შანტაჟის ან პროვოკაციის მსხვერპლი შეიქმნა. სოციალ-დემოკრატთა ფრაქციის დეპუტატები უფის საზოგადო მოღვაწეებს შეეკითხნენ დეპეშით ეცნობებინათ პოკროვსკის დაპატიმრების შესახებ დაწვრილებითი ამბები. ჯერჯერობით შემდეგია გამორკვეული: პოკროვსკი ავადმყოფებს იღებდა ამბულატორიაში. საერთო ოთახში გამოვარდა ადგილობრივ მოხელის მსახური ქალი და განაცხადა, რომ ექიმი გაუპატიურება უნდოდაო. იმ დროს ექიმ პოკროვსკის მისაღებ ოთახში სხვანიც იმყოფებოდნენ; ასე რომ ავადმყოფ ქალის სიტყვები ფრიად საეჭვოა. ამას თუ იმასაც დაუმატებთ, რომ ჯერ ეს ცნობა საგენტოს დეპეშებში იყო მოყვანილი, პურიშკევიჩმა ყველაფერი დაწვრილებით იცოდა, მთელი პროვოკაციული ხასიათი ამ საქმისა ცხადი იქნება.

### ინციდენტი საბიუჯეტო კომისიაში.

8 თებერვლის სხდომის დროს საბიუჯეტო კომისიაში მსხვილი ინციდენტი მოხდა. საკრედიტო კანცელარიის ხარჯთ-აღრიცხვის მომხსენებელმა რატკოვ-რაჟნოვმა მოხსენების თავში აღნიშნა მინისტრად ნამყოფ კოკოვცევის თავაზიანი და კეთილგანწყობილი მოპყრობა სათათბიროსა და საბიუჯეტო კომისიისადმი. მომხსენებელმა სურვილი გამოსთქვა, რომ კოკოვცევის მემკვიდრეც ასეთის თავაზიანობით ექცეოდეს სათათბიროსო.

მარკოვი მეორე და ზამისლოვსკი მოითხოვდნენ სურვილი რატკოვ-რაჟნოვისა დაწვრილებით განემარტათ, რადგანაც პასუხი გაცემა ჰსურდათ, კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა: რადგანაც მომხსენებლის სურვილს ყველა არ იზიარებს, გადავიდეთ პირდაპირ მოხსენებაზე და ამ საკითხის განხილვაზე დროს ტყუილად ნუ დავკარგავთო.

შინგარიევი კითხულობს: როდისაქეთია, რაც ზამისლოვსკი თავმჯდომარეობს საბიუჯეტო კომისიაში? ალექსეენკომ მომხსენებელს სთხოვა მოხსენების ფარგლებს ნუ გასცილდებიო.

ალექსეენკოს სიტყვამ პროგრესისტ ნოვიცკის პროტესტი გამოიწვია: პირველი შემთხვევაა საბიუჯეტო კომისიაში მომხსენებლის სიტყვის თავისუფლება შეზღუდვილიყვეს. ალექსეენკომ თავმჯდომარეობა მიატოვა, რადგანაც მისი საქციელი, როგორც თავმჯდომარისა, უკმაყოფილებას იწვევს კომისიის წევრთა ერთ ნაწილშიო. სხდომა შესწყდა. ყველანი მემარჯვენეებს სდებდნენ ბრალს ამ ინცინდენტის გამო. ნაციონალისტ გრინევიჩმა მარკოვისა და ზამისლოვსკის სახელით ბოდიში მოიხადა ალექსეენკოს წინაშე. ნოვიცკიმ ალექსეენკოს განუმარტა, რომ მისი სიტყვები ალექსეენკოს არ ეხებოდა. ალექსეენკო ხელმეორედ მიიწვიეს თავმჯდომარედ. კომისიის ყველა წევრი ტაშის ცემით შეეგება ალექსეენკოს.

### საფინანსო კომიტეტის გაძლიერება.

საფინანსო კომიტეტი, რომელსაც გრაფი ვიტე თავმჯდომარეობს საგრძნობლად გაძლიერდა. დღევანდლამდე საფინანსო კომიტეტში იმყოფებოდნენ დანიშნული წევრები: საბუროვი, ტიმაშევი, შიპოვი და დმიტრიევი. ამათ გარდა კომიტეტში მონაწილეობას იღებდნენ ფინანსთა

მინისტრი, სახელმწიფო კანტროლიორი და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. ეხლა კომიტეტის შედგენილობა გაძლიერდა კრივოშეინისა, რუხლოვისა, სახელმწიფო საბჭოს წევრის ნიკოლსკისა და სათათბიროს წევრის ალექსეენკოს დანიშვნით. ამბობენ, რომ ფინანსთა ახალ მინისტრს აზრადა აქვს საფინანსო რეფორმები მინისტრთა საბჭოთი კი არ მოახდინოს, არამედ საფინანსო კომიტეტს საკანონმდებლო ინციატივა არა ქვს. იგი განიხილავს მხოლოდ იმ საკითხებს, რომელიც აღძრულია უმაღლესი მთავრობისა თუ სამინისტროსაგან. რადგანაც იგი სათათბირო ორგანოა, პირდაპირ ექვემდებარება უმაღლეს მთავრობას. კომიტეტს შეუძლიან თვისი გადაწყვეტილებანი პირდაპირ უმაღლეს მთავრობის დასამტკიცებლად წარადგინოს. კოკოვცევი გაურბოდა კანონ-პროექტების მოყვანას საფინანსო კომიტეტის საშუალებით. ბარკს კი ჰსურს ეს სისტემა შესცვალოს.

## მოწერილი ამბები

**ს. ხიზაბავრა (ჯავახეთი).** ს. ხიზაბავრა ეკუთვნის ტფილისის გუბერნიის ახალქალაქის მაზრას. მდებარეობით მაღლობი, ირგვლივ მაღალი მთები აქვს შემორტყმული. ჰაერი და წყალი კარგი. მიწა ნაყოფიერი. მცხოვრებლებს შეადგენს მარტო ქართველი—ფრანკები. აქვთ თავიანთი მდიდრულათ მორთული ეკლესია. სარწმუნოება შეურყევლად აქვთ დაცული. მთავრობას 40 წლის წინედ გაუშენებია ორ-კლასიანი ვაჟების სასწავლებელი: და ქალების ერთკლასიანი. ვაჟების სკოლაში ორი მასწავლებელია: ერთი ქართველი, მეორე სომეხი, ქალების სკოლაში კი ქართველ ქალია მასწავლებლად. ხალხი, ძალიან გაუნათლებულია. აქაურ მცხოვრებლებს ძველი ჩვეულება ისე მაგრად აქვთ ძვალ-რბილში გამჯდარი, რომ მის შეცვლას არავინ ფიქრობს. ქალებს აცვიათ წითელ-ნარქ ასხმული კაბები, თავზე ჰხურავთ სამ-სამი დასახური (აქ თავ მოხდილს ქალს ვერ ნახავთ,—სირცხვილად მიაჩნიათ) ფეხზე აცვიათ კაცსა და ქალს ქალამნები. კაცებს აცვიათ მოკლე ჩოხა-ახალუხი, თავზე ხურავთ ფაფახი. სისუფთავისა არა გაეგებათ რა. უმახსოვრო დროიდან გამოუთხრიათ მიწა, გამოუშენებიათ კედლები ქვით და სცხოვრობენ მიწაში. არცერთი არ ფიქრობს გააშენოს ზევით სუფთა სახლი და ამოძვრეს სოროდან. სახლს და სახლს შუა ერთი ნაბიჯი ადგილიც არ აქვთ დატოვილი. სახლები ერთმეორეზედ არის გამოთხრილი. ცხვირწინ ნაგავი აყრიათ, რომელიც სწამლავს ჰაერს, აჩენს ათასნაირ ავადმყოფობას, და ჯერ კიდევ სიცოცხლით სავსე, ახალგაზრდა გაუფურჩქნელი ყმაწვილები ესალმებიან წუთ-სოფელს. ექიმობა და წამლობა აქ არ არის. „ექიმი რა საჭიროა, ჩემი ღმერთი მოარჩენსო" ექიმის მოყვანა აქაურ გლეხს ან კი როგორ შეუძლიან 20—30 მ. დაჯდება მარტო ექიმის მოყვანა და წამალი ხომ სხვა იქნება. ერთი აფთიაქიც რომ იყვეს, ისიც კარგია. ქინაქინას მაინც იყიდის კაცი. ავადმყოფის პატრონს მიჰყავს მღვდელი,—წაუკითხავს სახარებას და საცოდავ პატრონს ჰგონია გაიკურნება ავადმყოფი. არ იციან წივილ კივილი, გლოვა, იმერლებივით. არსად ასეთი ბუნებისაგან დაჯილდოვებული სოფელი არ მეგულება, როგორიც აქ. მაგრამ ამათთვის ამაოა ყველაფერი. არ იციან, თუ როგორ მოიხმარონ ბუნება. აქ შეიძლება მიწის მუშაობა, მევენახეობა, მეფუტკრეობა, მასთან საქონლისა და ფრინველების მოშენება. გარეთ გასვლა აქაურ ხალხს არ უყვარათ, შვილებს ესენი არ ზრდიან და ვინ უნდა შეიტანოს აქ განათლება. აქ ერთი მცოდნე პირი ხალხს სიმდიდრის გზაზედ დააყენებს, მაგრამ სად არის... 4 ვერსის მოშორებით აქვთ ზოგიერთა პირს ვენახები, ბაღები გაშენებული, მაგრამ ქურდ-ბაცაცების გამო ყურძენს შემოუსვლელს ჰკრეფენ და მჟავე ღვინო დგება. ხალხი წლის განმავლობაში იკვებება პურითა და კარტოფილით. სუფთა პურის შოვნა ძნელია, ურევენ ქვას, დიკას და ღოლს. საქონლის დაკვლა არ იციან, რომ დაკლან არავინ იყიდის. თუ ქალაქიდან ჩამოიტანთ ხორცს, თორემ ქათმის მეტს ვერას იშოვნით. ქათამი კი იაფია 30 კ. 35 დედალი. კვერცხი—სამი ერთ შაურად. მწვანილეულობა არ იშოვნება, არც ხილი. სწავლა განათლების სრულებით ყურადღებას არ აქცევენ. განსაკუთრებით ქალებისას. „რომ გორი? სალდათად ხომ არ უნდა წავიდეს ქალიო". რომლებიც შემობარებულან სასწავლებელში, ისინიც არ დადიან როგორც წესია. სურთ მოვლენ არ სურთ არა. რომ შევეკითხები მოწაფეთ, რად არ იყავით გუშინათ, მიპასუხებენ: ფურნე გვენთო, და ამისთანები. მთავრობა უგზავნიდა სკოლის ნივთების შესაძენად 50 მ. და დღეს „საუბედუროდ ესეც მოხსნეს. თუმცა არც შარშანდელი შეძენილი ნივთები სჩანს სასწავლებელში. რაც წიგნებია ერთი 7—8 წლის წინეთ შეძენილებია დაფლეთილ დაგლეჯილები. წიგნების ყიდვას ვინ გაუმხელს მშობლებს. წიგნები კი არა. 3 კაპიკიანი რვეულის გულისთვის ბავშვი სკოლას მოგლიჯეს. სანამ რვეულები არ იყო საჭირო, 46 მოწაფე დადიოდა, მერმეთ 29 დადის. 15 წლის ქალი გასათხოვრადებზად არის, ისევე ვაჟი. 12—13 წლისას აბარებენ სკოლაში და რა უნდა გააკეთოს? საკითხველოზედ აქ მეტია ლაპარაკი. უნდა დაჯდე ოთხ-კედელ შუა, იკითხო და იკითხო, თუ იშოვნი რაიმეს წასაკითხს. ამ შემთხვევაში მადლობის ღირსია გ. მიქელაძე. წიგნები ბლომად აქვთ აგრეთვე მოსდის რუსულ-ქართულ ჟურნალ გაზეთებიც, რომლითაც ვსარგებლობთ.

მასწავლებელი **ვერა ჩხეიძე.**

**ივრის ხეობა.** დიდი ხნის ნატვრა აუსრულდათ ივრის ხეველებს. დაჰკვნესა, დაიგუგუნა მატარებელმა კახეთის რკინის გზისამ და ზლაზნით გამოვიდა ივრის ხიდს და აახმაურა გარშემო მთა-გორანი და ღრანტე ხევები. სასიამოვნო სანახავია ის პირი ივრისა აქეთ-იქით, სადაც ლიანდაგია დაგებული. ორი-სამი ვერსი კედელია შიგ შუა იორზე, სადაც მატარებელი—გვერდზე ივლის—მიატანა კიდეც საგარეჯოს და ამ რიგად 44 ვერსის მანძილზე არის დაგებული ლიანდაგი. ეტყობა ძალიან ცდილობენ, ამინდიც ხელს უწყობს. არავის ახსოვს, რომ რაც რკინის გზის კეთება დაიწყეს დღევანდლამდე ყოფილიყოს ასეთი კარგი ამინდები. ხალხი ბლომად დაიარება ივრის სადგურზე სადილებით, ყველას სიხარულის ღიმი აჩნია და მოელიან იმ ბედნიერ დღეს, რომ მორჩნენ დანჯღრეულ დილიჯნებს, სადაც ზოგჯერ ოც სულზე მეტს ჩასვამენ და მგზავრი იტანჯებიან. ჰატარძეულისა და ხაშმის ტყე იწვის. მინდვრის თაგვები მრავლდებიან.

**იოანე გულისაშვილი.**

## რუსეთი

**მასწავლებელთა კრების შედეგი.**

**გროზნი.** სახალხო სკოლების ინსპექტორმა ყველა სამოქალაქო, სასოფლო და სტანიცის დაწყებით სასწავლებელს ცირკულიარი დაუგზავნა, რათა ყველა მასწავლებელმა, რომელნიც კრებას დაესწრნენ, დაუყოვნებლივ წარადგინონ მოხსენებანი კრების შესახებ.

როგორც სარწმუნო პირები ამბობენ, ეს ცირკულიარი მით არის გამოწვეული, რომ გროზნის ოლქიდან ორი ოფიციალური დელეგატის გარდა, კრებაზე დასასწრებლად თავის ხარჯით 50 სახალხო მასწავლებელი გაემგზავრა, რომელთა ვინაობაც ინსპექტორმა არ იცის.

ეხლა მოხსენებების მიხედვით, ინსპექტორი ჰფიქრობს კრების მონაწილეთა სიის შედგენას, რომელიც დირექციამ მოსთხოვა.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან)

13 თებერვალი.

**უცხოეთი.**

**ლონდონი.** სათემო პალატა. ასკვიტი უპასუხებს უნიონისტთა რეზოლიუციას, რომლითაც მოითხოვენ მთავრობამ თვის მოსაზრებანი დაუყოვნებლივ წარმოადგინოსო. ასკვიტმა დაასახელა მიზეზები, რამაც აიძულა მთავრობა თავს ედვა ჰომრულის მოსაზრებათა შემუშავება; ასკვიტმა სთქვა: მთავრობა არ იმყოფება უკიდურეს მდგომარეობაში, როგორც ალყა შემორტყმული მეციხოვნე ჯარი (ირონიული სიცილი ოპოზიციისა): მთავრობა არ საჭიროებს შერიგების ხვეწნა-მუდარას და თეთრი დროშის აფრიალებას; მთავრობა დიდი საქმის დასასრულის წინ ვერავობას არ ჩაიდენს (მინისტრების სკამებზე ტაშის ცემაა). ასკვიტმა განაცხადა, რომ მთავრობა თვის წინადადებას აღდგომამდე შემოიტანსო.

**ცეტინიე.** საპასუხო ადრესის პროექტი სკუპშჩინამ უცვლელად მიიღო.

**პოზნანი.** „პოზნანის დნევნიკისა" და „პოზნანის კურიერი" გაზეთების რედაქციები, რედაქტორისა და თანამშრომლების ბინა პოლიციამ გაჩხრიკა.

**ბუდაპეშტი.** დებრიჩინში მივიდა საზღვრის მაძიებარ პოლიციის უფროსი დელიშკოვიჩი ეპისკოპოს მიკლოსის ბინაზე მომხდარ აფეთქების გამოსაძიებლად. გაზეთების სიტყვით, დელიშკოვიჩი დარწმუნებულია, რომ ამ საქმის ბრალი მონარქიის მართმადიდებელ რუსებს ედებათო. ჩერნოვცოვიდან მოსულ ცნობის მიხედვით, ადგილობრივ პოლიციის გამოძიებამ გამოარკვია, რომ პაკეტი ფოსტაში ორ რუმინელს მიუტანია.

**ნიუ-იორკი.** მექსიკიდან იუწყებიან: ნავთიან ადგილების ნაციონალიზაცია კონგრესის საშუალებით იქნება განხორციელებული.

**ბერლინი.** ლანდტაგის საბიუჯეტო კომისიაში სახალხო განათლების მინისტრმა განაცხადა, რომ პრუსიის უნივერსიტეტებში უცხოელ სტუდენტთა ნორმა უკვე შევსებულია და რუს სტუდენტებს აღარ მიიღებენო. უმაღლეს სატეხნიკო სასწავლებელში საჭირო არ არის განსაზღვრულ ნორმის შემოღება, და თუ საჭირო იქნება, იქაც დაწესდება ნორმა.

**მარმაროშ - სიგეტი.** დამცველნი სიტყვებს ამბობენ; რონაი, პაპი და ლაპუშევიჩი აღნიშნავენ, რომ უგრორუსთა მოძრაობას მხოლოდ სარწმუნოებრივი ხასიათი ჰქონდაო.

**ბუდაპეშტი.** დებრიჩინის პოლიციამ იასში რუმინიის პოლიციას მიჰმართა თხოვნით გასცენ, როგორც სისხლის სამართლის დებულებით დამნაშავენი, რუმინიის ქვეშევრდომნი მანდაკესკუ და აბრამი, რომელთაც ჩერნოვიცში პაკეტით ჯოჯოხეთის მანქანა გააგზავნეს.

**ჰააგა.** შეერთებულ შტატთა მთავრობამ ინგლისის გარდა ნიდერლანდიის მთავრობასაც მიჰმართა წინადადებით დაარსონ საერთაშორისო კომიტეტი მესამე სამშვიდობო კონფერენციის მუშაობის გეგმის შესადგენად.

**სტოკჰოლმი.** მინისტრ-პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ახლო ხანში რიკსდაგი დათხოვნილი იქნება.

**რუსეთი.**

**მინსკი.** გუბერნატორმა მიჰმართა ყველა საერობო უფროსებს მიიღონ ზომები სოფლად წვრილი კრედიტის მოქმედების გასაფართოვებლად.

**რადომი.** სამოსამართლო პალატამ სოციალ-დემოკრატთა პოლონეთისა და ლიტვაში ორგანიზაციის საქმის გამო ორს ექვსი წლის კატორღა გადაუწყვიტა, 7 სამუდამო გადასახლება.

**ვიტებსკი.** გალიციელ-რუსთა საზოგადოების განყოფილება დაარსდა. განყოფილების გახსნას გრ. ბობრინსკი დაესწრო.

**პეტერბურგი.** სამხედრო-საზღვაო საქმეთა კომისია შეუდგა კანონ-პროექტის განხილვას თავისუფალ ჯარის კაცთა სამხედრო ბეგრის მოხდის წესრიგის შეცვლაზე. კომისიამ მიანდო სავიჩს ხელმეორედ შეიმუშაოს კანონ-პროექტი. მთავრობის კანონ-პროექტში თავისუფალ ჯარის კაცთა მიღების ვადად წელიწადში ერთხელ პირველ იანვარი წესდება. ივნისის ვადა უქმდება. კომისია ამის წინაამდეგ წავიდა.

**პეტერბურგი.** სინოდმა სასურველად სცნო ვილნაში სასულიერო აკადემია დაარსდეს. სამოსწავლო კომიტეტს მიანდო ამ საკითხის შემუშავება.

## თეატრი და ხელოვნება

**ზუბალაშვილის სახალხო სახლი.** შაბათს, 15 თებერვალს, ქართული წრე დილით წარმოადგენს „ხანუმა"-ს მონაწილეობას იღებენ ქ-ნი ელ. ჩერქეზიშვილი და ბ-ნი კ. ყიფიანი. წარმოდგენა დაიწყება 12 საათზე.

**ზუბალაშვილის სახალხო სახლი.** მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დღეს, 14 თებერვალს, ზუბალაშვილის სახ. სახალხო სახლში ქართული წრის მიერ წარმოდგენილი იქნება **ნიკო გოცირიძის საბენეფისოდ** მოლიერის კომედია 5 მოქ. „ტარტიუფი" და ერთ მოქმედებიანი ხუმრობა „ექიმის ფული".

**ხარფუხის აუდიტორია.** დღეს, 14 თებერვალს, ხარფუხის სახალხო აუდიტორიაში ხარფუხის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის მიერ წარმოდგენილ იქნება ისტორიული დრამა ვ. გუნიასი „და-ძმა".

**ბათომი.** შაბათს, 15 ამ თვეს რკინის გზის თეატრში გაიმართება **შალვა დადიანის** ბენეფისი. წარმოდგენილი იქნება: უმიკაშვილის „სამზადისი", ბრანდეს „სტუმარი" და გუნიას მხიარული ვოდევილი „ხოლვერობა".

ბ-ნ შალვა დადიანს თვალსაჩინო ადგილი უკავია სასცენო მოღვაწეთა შორის და განსაკუთრებით შავი ზღვის პირა ქართველებისათვის მისი ღვაწლი დაუფასებელია. მისი შრომით და მეცადინეობით შესდგა მსახიობთა ამხანაგობა, რომელიც რამდენიმე ხნის განმავლობაში ნაყოფიერად მოღვაწეობდა სოხუმში და ახლობელ ქალაქებში. შარშან კი მისის მეოხებით, მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, ბათომში დაარსდა დრამატიული საზოგადოება და შესდგა სამუდამო დასი, რომელიც დღესაც პირნათლად ემსახურება თავის წმინდა დანიშნულებას. აღსანიშნავია, რომ შალვა დადიანი ყოველთვის სინიდისიერად ეკიდება თავის საქმეს. იმედია ბათომის ქართველი საზოგადოება ღირსეულად დააფასებს ქართული სცენის გულმოდგინე ქურუმს.

## მოწოდება

1913 წლის 4 დეკემბერს ულმობელმა ცეცხლმა დაბა ლაილაშში (ლეჩხუმი) იმსხვერპლა სამოცდაჩვიდმეტი მოსახლე ებრაელი, რომელთაც არც სახლი და არც საქმელი აღარ დარჩენიათ და ბავშვებიანათ მშიერ-მწყურვალნი, უბინაოდ აუტანელ გაჭირვებაში არიან.

უმაღლესი მთავრობის ნებართვით დაბა ლაილაშში კომიტეტი დაარსდა, რომელსაც ევალება ღვთის მოყვარე ხალხს მიჰმართოს და სთხოვოს შემწეობის აღმოჩენა, ვინც რამდენს მოისურვებს. გადამწვართა უბედურება კალმით აუწერელია და თითოეულს ჩვენგანს ამათმა გაჭირვებამ უნდა მოგვაგონოს უფლის სიტყვა: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი". ყოველი შემოწირული კაპეიკი დიდი მადლობით იქნება მიღებული. შეწირულება გაიგზავნება კომიტეტის სახელზე დაბა ლაილაშში.

თავმჯდომარე კომიტეტისა ლეჩხუმის მაზრის უფროსი პოლკოვნიკი **ენქელი.**

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

თქვენის პატივცემულის გაზეთის მე-1114 ნომერში მოთავსებულია ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების მიერ 10 თებერვალს გამართულ საღამოს ანგარიში, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია, საპრემიოთ წარმოდგენილ ლექსების განსახილველად მოწვეულმა ჟიურიმ 17 (უნდა იყვეს 18) ლექსში ამოირჩია წასაკითხად 4 ლექსი, ჯილდოს ღირსათ კი არც ერთი არა სცნო, ხოლო რადგანაც ამ გადაწყვეტილებით კულტურული საზოგადოება უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, ჟიურიმ ხელმეორედ თათბირი გამართა და ჯილდო „სახსოვრად" მისცეს ს. ურუშაძეს და გ. ქუჩიშვილსაო.

ამ ცნობას ცოტაოდნათ შესწორება უნდა, სახელდობრ: **ჟიურის** ხელმეორედ არავითარი თათბირი არ მოუხდენია. მისი პირველი გადაწყვეტილება არავის არ შეუცვლია. ჟიურის გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ ითათბირა მხოლოდ ქართ. კულტ. მოყვ. **საზოგადოების საბჭომ** და **ამ უკანასკნელმა** (და არა ჟიურიმ) დაადგინა საპრემიოდ მომზადებულ წიგნების თქვენ გაზეთში მოხსენებულ პირთათვის **სახსოვრად** (და არა პრემიათ) მიცემა.

ნება მიბოძეთ აგრეთვე ულრმესი მადლობა გამოვუცხადო ჟიურის წევრთ ბბ. იოს. გედევანიშვილს, ივ. გომართელს, ს. გორგაძეს, ი. ვართაგავას, ილ. ზურაბიშვილს, გ. რცხილაძეს, გრ. ყიფშიძეს, აგრეთვე ქ.ქ. **ჩერქეზიშვილს**, ა. შოთაძეს, ნ. მაჭავარიანს და ბ.ბ. **ვახ. აბაშიძეს**, ა. შანშიაშვილს, პ. ფრანგიშვილს, გ. ქუჩიშვილს, ვ. ლორთქიფანიძეს, ს. ფაშალიშვილს, ი. სიღირაშვილს, ი. მჭედლიშვილს, ლ. ჯანდიერს, ნიკ. კუსაძეს და ი. ივანიძეს, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ჩვენის საღამოს გამართვაში და საზოგადოდ ყველა იმათ, ვინც-კი რითიმე შეუწყო ხელი საღამოს გამართვას.

ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარე. **გ. ჟორდანია.**

ბატონო ნედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ნება მიბოძოთ თქვენი გაზეთის საშუალებით დიდი მადლობა გამოვუცხადო ბ-ნ. ივანე ნიკოლოზისძე ზედგენიძეს, რომელმაც ხიზაბავრის ერთ-კლასიან ქალების სასწავლებელს ერთი წლით გამოუწერა ჟურნალი „ნაკადული".

ხიზაბავრის ქალების სკოლის მასწავლებელი **ვერა ჩხეიძე**

## შემოწირულება

ქართულ სათ.-აზნ. გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილო გამგეობამ მიიღო შემდეგი წერილი:

24 იანვარს გარდაიცვალა ტფილისის წმიდა მარინეს მღვდელი მამა ზაქარია გულისაშვილი. ჩვენ მისმა ნათესავებმა, ნაცვლად გვირგვინისა, ვუძღვნით ტფილისის ქართული გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოს მცირედი რამ, რომელიც გთხოვთ მიიღოთ მის მოსახმარად. სახელდობრ:

| | |
|---|---|
| სოლომონ გულისაშვილმა | 10 მან. |
| გაბრიელ გულისაშვილმა | 5 მ. |
| იოსებ გულისაშვილმა | 5 მ. |
| ირაკლი გულისაშვილმა | 4 მ. |
| მღვ. იოანე გულისაშვილმა | 2 მ. |
| მიხეილ მეჯვრიშვილმა | 5 მ. |
| არჩილ მეთიკაშვილმა | 3 მ. |
| სულ | 34 მ. |

გამგეობა დიდ მადლობას უძღვნის ყველა ზემო აღნიშნულ შემომწირველთ.

## დღეს

**ქართული თეატრი:** დილას ბავშვებისა და მოწაფეებისთვის „სინათლე". საღამოს—„ედმონდ-კინი".

**სახაზინო თეატრი:** დილას „პიკოვაია დამა". საღამოს „ტრავიატა".

**ზუბალაშვილის სახლი:** ნ. გოცირიძის ბენეფისი „ტარტიუფი".

## ხვალ

**ქართული თეატრი:** დილას ბავშვებისა და მოწაფეებისათვის „სინათლე". საღამოს „მედეა".

**ზუბალაშვილის სახლი:** დილას „ხანუმა".

**სახაზინო თეატრი:** დილას „ჩერევიჩკი". საღამოს „ოტელლო".

**არტისტ. საზ. დარბაზი:** მეხუთე ისტორ. კონც. გოლსტონისა: „ბრამსი".

რედაქტორი **ნ. კურდღელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**




უმაღლეს სახალის იჯორიდორი.
ფლაკონი 1 მ. 20 კ. 2 მ. იყიდება ყველგან.

## სასანიტარო ექიმები

**ეხნება:** 1—2 მ. ფაიამაიაბაიაკი, სახ. ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

3—4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქასლანთარიძე** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6 მ. **მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვის, 10. ტელ. 645).

7—8 **ნ. დ. ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).

9—11 **გ. ო. ნათაშვილი** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).

10—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მ. ლაკის მოედანზე.

## სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა

**გადავიდა** საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოლოვოზნის შესახვევი № 8. მიიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

## ემომნავასარდიანცი
## პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.

დილით:
„606" და „914"
11—12 ს. უფასო კონსულტაციურად.

ზ. ა. ნავასარდიანცი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. ბეგახარიძე: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საშვილოსნოსა, ქალებისა და ბავშვებისა.
ბ. გ. ბენიამინოვი: 10—12 ს. ყურის, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
მ. გ. ბეგლარიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. ჰ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი ავადმყოფ. და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი ო. გ. ტერ-დავიდოვისა 1—2 ს. საშვილოს და ქალების ავადმყ.

საღამოთი:
მ. გ. ბეგლარიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელოსნებისათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანცი.** 1004

## ექიმი მ. მუხაძე
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

## ს. ა. გრიაზნოვი
სხვა მასწავლებლებთან ერთად

## ამზადებს

გიმნაზიის, რეალურ და კომერციულ სასწავლებლის დაბალ, საშუალო და მაღალ კლასებისათვის, სამხედრო და მიწის-მზომლის სასწ. პირველ კლასისთვის და სხვა და სხვა მოწმობებზე. უკვე შემდგარია ჯგუფი გიმნაზიის მე-6 და მე-7 კლასისთვის და კომერც. მე-6 კლას. მარიამობისთვის ეგზამენისათვის. იყვანს სრულ პანსიონზედაც. **ვერა**, იზმაილოვის შესახვ., 3 ლინსკ. ქუჩიდან № 3, მესამე სართული.

**უფლებიანი სავაჭრო სკოლა უფლებიანი და საბუღალტრო კურსები**

**იოანე ზაქარიას ძე ტერ-სტეფანოვისა**

გადავიდა ახალსა და უფრო ფართო შესაფერ ბინაზე, **მიხეილის ქუჩა, სახლი ტაგჰანიძისა № 36.**

კურსებზე პირველ ჯგუფთან მეცადინეობა სწარმოებს ნაშუადღევის 3 საათიდან, მეორე ჯგუფთან—საღამოს 7 საათიდან. გამოცემული სახელმძღვანელოები **მიწერ მოწერით** ბუღალტერიის შესასწავლად. 83

## თევზის მრეწველნი
## მმ. ძმები მებველოვები.

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

## განყოფილება ავლაბარში

ფოსტის განყოფილების ქვეშ, საკუთარ სახლში.

## იყიდება
იმავე **ხარისხის**
## საქონელი,
როგორც პუშკინის ქუჩაზე.